community

The New Apostolic Church around the world

02/2025/GE

ვძლიოთ შიშს

რედაქციისგან
აღსრულდა

ღვთისმსახურება
შიშს იესოსთან ერთად
ვძლიოთ

საეკლესიო მოძღვრება
ზუსტად გადმოვცეთ ღვთის
ნება

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 აღსრულდა

ღვთისმსახურება

4 შიშს იესოსთან ერთად ვძლიოთ

Global News

10 დროა, ვაკეთოთ სიკეთე

საბავშვო კუთხე

16 იესო მეგობარ ზაქეს სტუმრობს

18 სტუმრად ლეონარდთან კინსეილში (ირლანდია)

დოქტრინა

20 ზუსტად გადმოვცეთ ღვთის ნება

■ თავფურცელის ფოტო: სან-ფრანცისკოს ახსე ახსე
■ უკანა გვერდის ფოტო: დედი ფებრიონო

აღსრულდა!

ფოტო: საერთაშორისო ახსე

წარმოდგენაც არ შეგვიძლია იმისა, თუ რა ხდებოდა უფალ იესოს გულში, როცა ჯვარცმულმა ეს სიტყვები წარმოთქვა: „აღსრულდა!“ (იოან. 19, 30).

გეთსემანეს ბაღში იესო მამასთან საუბარს ეძიებდა და თავისი გრძნობები გაუზიარა მას. მან იცოდა, რომ ღმერთი ყოვლადძლიერი, ყოვლისმცოდნე და სრულყოფილი იყო; უპ, ყოვლისა კი იცოდა, რომ ღმერთს უყვარდა იგი. როგორც ჭეშმარიტ კაცს, იესოს ეშინოდა იმისა, რაც ელოდა. ის არ იყო ზეკაცი. ინტენსიური შინაგანი ბრძოლის შემდეგ გადაწყვიტა, მინდობოდა ღმერთს: „იყოს ნება შენი“ (ლუკ. 22, 42). მან იცოდა მამის ნება და მისი ბოლომდე აღსრულება სურდა.

ჯვარზე გაკრული იესო ღვთისგან მიტოვებულად გრძნობდა თავს. ეს უფრო მეტ ტკივილს აყენებდა, ვიდრე იარები. თუმცა ამ გრძნობას მისი ღვთისადმი ნდობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია. პირიქით, მან მთლიანად მის ხელს მიანდო მთელი მისი ყოფიერება. სიკვდილის მომენტში იესოს შეეძლო ეთქვა: „აღსრულდა!“ ღმერთმა შეისმინა მისი ლოცვები და მისცა ძალა, რამეთუ მასზე დაკისრებული მისია სრულად აღესრულებინა.

მოდით, იესოსავით ჩვენც ღმერთთან კავშირში დავრჩეთ. მას მივანდოთ ყველაფერი, ნამდვილად ყველაფერი - ჩვენი სიხარული, საზრუნავი, შიშები, კითხვები, ეჭვები, სურვილები. ვისწავლოთ ღვთისადმი ნდობა - მისი ძლევამოსილების, სიბრძნისა და სიყვარულის მიმართ ნდობა. სწავლის ეს პროცესი ხანდახან ინტენსიურ შინაგან ბრძოლას მოითხოვს. როცა ვლოცულობთ: „იყოს ნება შენი“, მაშინ ღმერთს ძალას ვთხოვთ ამისთვის. ღმერთი შეისმენს ამ ლოცვას. გულითადი მოკითხვებით

ჟან-ლუკ შნაიდერი

შიშს იესოსთან ერთად ვძლიოთ

ფოტოები: სან-ფრანცისკოს ახსე

2024 წლის 13 ოქტომბერს პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ღვთისმსახურება სან-ფრანცისკოში (აშშ) ჩაატარა.

იოან. 14, 1

„ნუ შეკრთება თქვენი გული, იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე!“

საყვარელო ძმებო და დებო, პროგრამა, რომელიც დღეს მივიღე, ასეა დასათაურებული: მადლობა ღმერთს! გასულ კვირადღეს მადლიერების დღისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურება გერმანიაში ჩავატარე. როცა მადლიერების დღეს აღვნიშნავთ, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ღმერთს, ჩვენს ზეციერ მამას. განსაკუთრებულ შესაწირს ვწირავთ მას, განსაკუთრებულ ღვთისმსახურებას ვზეიმობთ, ვასრულებთ სამადლობელო საგალობლებს. თუმცა პრინციპში ყოველ კვირადღეს, ყოველ დღეც კი, გვაქვს იმის მიზეზი, რომ ღმერთს, ჩვენს შემოქმედს, მადლობა გადავუხადოთ, ის გვაძლევს იმას, რაც ყოველ დღე გვჭირდება. მაგრამ საკმარისი არ არის, უბრალოდ მადლობა გადავუხადოთ მას და მსხვერპლი გავიღოთ. ის ნიჭები, რომელსაც მამაზეციერი გვწყალობს, სიკეთის საკეთებლად უნდა გამოვიყენოთ. ეს არის არაჩვეულებრივი ფორმა მამა-ღმერთისთვის, შემოქმედისთვის, მადლობის გადასახდელად.

ჩვენ მადლობას ვუხდით ძე-ღმერთს მის მიერ გაღებული მსხვერპლისთვის, მისი მოძღვრებისთვის და იმისთვის, რომ ეკლესია დაარსა და მოციქულები მოგვივლინა. მან ადამიანებს ხსნის გზა გაუხსნა. მან ჩვენთვის ცოდვების მიტევება გახადა შესაძლებელი. მაშასადამე, მას მადლობას იმით გადავუხდით, თუ ამ ნიჭებს გამოვიყენებთ: მიტევებისათვის მადლობას იმით გადავუხდით, რომ ჩვენც მივუტევებთ მოყვასს, ეკლესიისა და მოციქულობის ბოძებისთვის კი - ღვთისმსახურებაში მონაწილეობით და იმის მიღებით, რასაც იგი გვთავაზობს.

ჩვენ მადლობას ვუხდით სულიწმიდა-ღმერთს იმის შესაძლებლობისთვის, რომ ქრისტეში ახალ ქმნილებად ვიქცეთ და დავემსგავსოთ მას. მოდით, გამოვიყენოთ ეს ნიჭები, რამეთუ ვაკეთოთ სიკეთე და ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის მოვემზადოთ. დღეს ძალიან საინტერესო ბიბლიური ციტატა გვაქვს. როცა ღვთისმსახურებისთვის ბიბლიურ ციტატას ვპოულობ, ჯერ აუცილებლად ვამოწმებ, უკანასკნელ თვეებში ხომ არ ყოფილა იგი გამოყენებული და მოქმედია თუ არა იგი ყველა ენაზე. აქ აღმოვაჩინე, რომ მოცემული ციტატა სხვადასხვა ენებზე სხვადასხვნაირად არის ნათარგმნი. ინგლისურსა და ესპანურში ის ასე ჟღერს: „გწამს ღმერთის, მაშ, მიწამე მეც“. ეს ახალი იყო ჩემთვის, ვინაიდან გერმანულად და ჩემს მშობლიურ ფრანგულ ენაზე მას უფრო მოთხოვნის ფორმა აქვს: „იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე!“ შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთი და იგივე არ არის. ორივე თარგმანი სწორია, ბერძნული ორიგინალური ტექსტის თარგმნა ასეც შეიძლება და ისეც.

მოდით, გამოვიყენოთ ეს ნიჭები, რამეთუ ვაკეთოთ სიკეთე და ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის მოვემზადოთ.

ჩვენი ბიბლიური ციტატის წინა მუხლებში იესომ მოწაფეებს მისი ტანჯვა-წამებისა და სიკვდილის შესახებ აუწყა, ასევე იუდას ღალატისა და პეტრეს მიერ მისი უარყოფის შესახებ. ამან ააფორიაქა მოწაფეები. კითხულობდნენ, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი. იესომ თქვა: „ნუ შეკრთება თქვენი გული!“ და ახლა ინგლისური ვერსიით ვიტყვი: „გწამს ღმერთის, მაშ, მიწამე მეც“. მე მომწონს ეს თარგმანი. იმ ყველაფრის დასაძლევად, რაც მოხდა, იესო მოწაფეებს ღვთისადმი რწმენას შეაგონებდა - მაგრამ უკვე ისე აღარ, როგორც ტრადიციისამებრ ასწავლეს მათ. იესომ მოწაფეებს მისი ჭეშმარიტი ბუნება და ღვთის ჭეშმარიტი ნება გაუცხადა. სწორედ ეს უნდა ეწამათ მათ.

მოწაფეები მორწმუნე იუდეველები იყვნენ. მათთვის ღვთის ნება ათ მცნებაში, მოსეს რჯულში იყო გამოხატული. ისინი ფიქრობდნენ, რომ ღვთისათვის მოსაწონი მაშინ იქნებოდნენ, თუ ამ მცნებებს დაიცავდნენ, მერე კი ყველაფერი კარგად იქნებოდა - მერე ადამიანი კურთხეული იქნებოდა, ღმერთი დაეხმარებოდა, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას უწყალობებდა; ბედნიერი ადამიანი იქნებოდა. ასეთი იყო ტრადიციული იუდაური რწმენა, რომელშიც პეტრე აღიზარდა. როცა იესომ თქვა, რომ მას იერუსალიმში შეიპყრობდნენ და მოკლავდნენ, პეტრემ უთხრა, რომ ეს არ უნდა მომხდარიყო. ბოლოს და ბოლოს, იესო ხომ ღვთისმოსავი იუდეველი იყო და მცნებებს იცავდა. შეუძლებელი იყო, რომ ღმერთს მისი ტანჯვა-წამება დაეშვა. იესომ ახსნა, რომ ყველაფერი ასე არ ხდება. ძველი რწმენა ... მეორე მხრივ, სჯეროდათ, რომ ღმერთი ადამიანს ურჩობისთვის სჯიდა. ეს ღრმად იყო ფესვგადგმული იუდეველი ხალხის რწმენაში. თუ ვინმე ბრმა, დავრდომილი ან ღატაკი იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი ან მისი მშობლები არ ემორჩილებოდნენ ღმერთს. ვინაიდან, თუ ბრმა იყო ის, ეს ღვთის სასჯელი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ ვიღაცამ შესცოდა. ღვთისმოსავ ადამიანს კი ასეთი რამ არ დაემართებოდა. უბედურება ღვთის სასჯელად ითვლებოდა. ძველი რწმენა ...

ადამიანებს ისრაელის ხალხში მტკიცედ სწამდათ, რომ ისინი რჩეული ხალხი იყვნენ და, რომ ღმერთი თავის ხალხს იმ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა, რომლებსაც სხვა ღმერთების სწამდათ. მათი გაგებით, ღმერთს სძულდა ისრაელის მტრები და მათი სიკვდილი უნდოდა. ყველა ცოდვილი უნდა განადგურებულიყო, და ღმერთი დაეხმარებოდა მათ ამაში. გავიხსენოთ პეტრე: როცა ჯარისკაცებს იესოს შეპყრობა უნდოდათ, პეტრემ იძრო მახვილი და ერთ-ერთ მათგანს ყური ჩამოათალა. ძველი რწმენა: ღმერთი თავის ხალხს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება.

ისინი მესიას ელოდებოდნენ. ხედავდნენ, რომ ისრაელი არახელსაყრელ მდგომარეობაში

იმყოფებოდა და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ღმერთი მათ, რჩეულს ხალხს, მეფეს მოუვლენდა და ისრაელის სამეფოს აღდგენდა. მერე იცხოვრებდნენ ისინი მშვიდობითა და კეთილდღეობით და ყველაფერი კარგად იქნებოდა; ისე, როგორც ადრე იყო. ძველი რწმენა ...

იესომ თქვა: „გწამთ ღმერთის, მაშ, მეც მიწამეთ“. მათ უნდა ეწამათ მისი პიროვნება და მისი მოძღვრება, ვინაიდან მოსალოდნელ სიტუაციაში ძველი რწმენით შორს ვერ წავიდოდნენ. შესაბამისად იესომ არაერთხელ თქვა: „თქვენთვის რა არ უთქვამთ, მაგრამ მე გეუბნებით იმას, რაც ღვთის ნებაა. ღვთის ნება კი ის არის, რომ მიწამოთ მე, იწამოთ ჩემი მოძღვრება, გწამდეთ, რომ მე ღვთისგან ვარ მოვლენილი, გწამდეთ ჩემი მსხვერპლი, გწამდეთ ხსნის ჩემეული გზა. ღვთის ნება ღმერთისა და მოყვასის სიყვარულში მდგომარეობს. გააკეთეთ ეს და ღმერთი გაკურთხებთ.“

> ისიც კი ეყვარება ღმერთს, ვინც არ მისდევს ქრისტეს. უპირობოდ.

იესომ ისიც ცხადყო, რომ ღვთის კურთხევა ის არ არის, რასაც ძველი რწმენა მოიაზრებს მასში. ის ყველა დავრდომილისა და ბრმის განსაკურნებლად არ მოსულა. ის ადამიანთა ამქვეყნიური პრობლემების გადასაჭრელად არ მოსულა. ის მოვიდა, რომ მათ საუკუნო სიცოცხლე, ღმერთთან საუკუნო თანაზიარება, მიანიჭოს მის სასუფეველში, სადაც აღარ იქნება ბოროტი და აღარც ცოდვა. ეს არის ღვთის ნება. მას ჩვენი ბოროტის ძალაუფლებისგან გათავისუფლება სურს.

და თუ არ დავიცავთ ღვთის ნებას? მაშინ, განაცხადა იესომ, ღმერთი არავის დასჯის ამისთვის და არც მოკლავს. ღმერთი დამსჯელი ღმერთი არ არის. მაშინაც კი, თუ ვინმე მის დაუმორჩილებლობას გადაწყვეტს, არ გაჰყვება იესო ქრისტეს, ღმერთს ის მაინც ეყვარება. უპირობოდ. რაც არ უნდა ჩაიდინოს ადამიანმა, ღმერთს ის ისევ იგივე სიყვარულით ეყვარება. ის არასოდეს განუდგება მას.

და როგორ არის საქმე ჩვენს მტრებთან მიმართებაში? იესო ასწავლიდა მოწაფეებს, რომ მათი მტრები არ იყვნენ ისინი, ვისაც სხვა რაღაცის სწამდათ, სხვა ღმერთს სცემდნენ თაყვანს. ნამდვილი მტრები ცოდვილები კი არ იყვნენ, არამედ ცოდვა იყო, ბოროტი. მაგრამ მოწაფეები უნდა მინდობოდნენ მას იმაში, რომ ის დაამარცხებდა ბოროტს და მათ მის დაძლევაში დაეხმარებოდა. მერე კი შეჰპირდა, რომ კვლავ მოვიდოდა და თავის სასუფეველში წაიყვანდა, რომელიც ამქვეყნიური არ არის. ის ზეცაშია ღმერთთან. სწორედ ამას გულისხმობდა იესო, როცა მოწაფეებს უთხრა, რომ კარგი იყო, ღმერთის რომ სწამდათ, მაგრამ უნდა ეწამათ ასევე იესო და მისი მოძღვრება. მათ ისე უნდა ეწამათ ღმერთის, როგორც იესომ გამოუცხადა იგი მათ. მერე კი შეძლებდნენ იმ სიტუაციის დაძლევას, რომელიც წინ ჰქონდათ.

ეს, რაც მოწაფეებს შეეხება. ეს სიტყვა დღეს ჩვენც გვეხება: „ნუ შეკრთება თქვენი გული! იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე!“ არც ჩვენ გვესმის ყოველთვის, თუ რა ხდება, და ეს გვაშფოთებს. ზოგჯერ გვეშინია კიდეც. არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ შექმნილ სიტუაციაში. იესო დღეს დილით გვეუბნება: „ნუ შეკრთება თქვენი გული! იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე!“

ხანდახან ვიბნევით, როცა ვხედავთ, რომ ღრმად მორწმუნე ადამიანს ტანჯვის ატანა უწევს. მან საუკეთესო გაიღო, ერთგულია, ემსახურება უფალს, სწირავს და ეხმარება მოყვასს. ამ დროს უჩნდება კითხვა: „რატომ უნდა ავიტანო ამდენი წვალება? რატომ მიდის ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი უკუღმა? რატომ უშვებს ღმერთი ამას? ეს სასჯელია?“ ღვთიური გზა გაუგებარია ჩვენთვის. შემიძლია გითხრათ, რომ საკმაოდ ხშირად მემართება ასე. ვეკითხები ღმერთს: რას აკეთებ? რა აზრი აქვს ყოველივე ამას?

სულიწმიდა გვეუბნება: იწამე ღმერთი! მაგრამ არა ძველი რწმენის მიხედვით. ცხადია, ძველი რწმენა აღარ მოქმედებს, რომელიც ამბობს: „კურთხეული, ბედნიერი და ჯანმრთელი იქნები მაშინ, თუ იქნები თავაზიანი, კეთილი და ღვთისმოსავი.“ იწამე ქრისტე და მიენდე მას. ქრისტე ღვთის საყვარელი ძე იყო - და გაიხსენე, როგორ დაიტანჯა იგი! ის, რომ ღმერთს უყვარხარ იმას არ ნიშნავს, რომ არასოდეს დაიტანჯები. ღვთიური სიყვარული სხვა რამეს აკეთებს. ღვთიური სიყვარული იესოს იმ სიტუაციაში, რომელშიც ის იმყოფებოდა, გამარჯვებაში, ერთგულების შენარჩუნებაში და საუკუნო სიცოცხლის მოპოვებაში დაეხმარა.

საყვარელო ძმებო და დებო, ვწუხვარ, მაგრამ არ არსებობს ახსნა იმისა, თუ რატომ განიცდით გაჭირვებას, რატომ გიწევთ განსაცდელის გავლა. ვერ გეტყვით, თუ რატომ გიწევთ ამა თუ იმ სიტუაციის გადალახვა. არ ვიცი. მაგრამ მიენდეთ იესო ქრისტეს მოძღვრებას! ადამიანებს მან უთხრა: „ღმერთს უყვარხართ. მიენდეთ მას!“

თუ კარგად არ ხართ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთს დაავიწყდით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარგყოთ მან. მიენდეთ მას. მას სურს, საბოლოოდ გაგანთავისუფლოთ ბოროტისა და სიკვდილისგან. მას თქვენი მის სასუფეველში შეყვანა სურს. იწამეთ ქრისტე და მისი მოძღვრება. მიენდეთ ღმერთს. მიენდეთ მის სიყვარულს. ბოლოს ნახავთ, რომ ღმერთს ყოველთვის დიდი სიყვარულით უყვარდით. იწამეთ ქრისტე, იწამეთ იგი როგორც პიროვნება, როგორც მისაბაძი მაგალითი. მასაც სწორედ ისე უყვარხარ, როგორც ღმერთმა შეიყვარა იგი.

ზოგჯერ ვნერვიულობთ, როცა ვხედავთ, თუ რა ხდება მსოფლიოში. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ბოროტის ძალა სამყაროში სულ უფრო იზრდება და სულ უფრო მეტი ცუდი რამ ხდება. რა უნდა ვქნათ? ვიწამოთ ღმერთი და ვიწამოთ ქრისტე! თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქრისტიანის აზრით, მსოფლიოში არსებული უბედურება იმით არის გამოწვეული, რომ ადამიანები აღარ მიჰყვებიან ღვთის ნებას. ამიტომ ყველამ უნდა დაიცვას ღვთის წესები და კანონები. ზოგი ბიბლიაში იყურება და ადგენს იმ წესების ნუსხას, რისი პოვნაც იქ შეიძლება. და თუ საჭიროა, ახალ წესებსაც იგონებენ: შენ თუ ამას გააკეთებ,

მოციქული არნო მარტიგი სამხ. მოციქულის თანაშემწედ
დაინიშნა კანადის სამხ. მოციქულის სამოღვაწეო მხარისთვის

შენ თუ იმას გააკეთებ, ღმერთი გაკურთხებს, შენი პრობლემები ჰაერში გაიფანტება, ყველაფერი კარგად იქნება და სამყარო უკეთესი გახდება ...

ამასთან დაკავშირებით პრობლემა მაქვს, ვინაიდან ეს ძველი რწმენაა. გწამდეს ღმერთის, მაგრამ, გთხოვ, იესო ქრისტეც იწამე! მან გვითხრა, რომ მხოლოდ მცნებების დაცვით ვერ გადავრჩებით. ეს არ მოქმედებს. იმისათვის, რომ გადავრჩეთ, ხელახლა უნდა ვიშვათ წყლისა და სულისგან და დავემსგავსოთ ქრისტეს ხატს. ღმერთისა და მოყვასის სწორად სიყვარული უნდა ისწავლო, ამისთვის კი უნდა შეიცვალო. ერთ დღესაც იესო მეორედ მოვა და იმათ, ვინც ცდილობდა, რომ დამსგავსებოდა მას, თავისთან წაიყვანს და მის სასუფეველში შეიყვანს. ეს არის გადარჩენა.

ამას არაფერი აქვს საერთო მთელი რიგი კანონებისა და მცნებების დაცვასთან. ვინაიდან, მართალია, ბევრი ადამიანი იცავს კანონებს, მაგრამ მათი გულისმიერი განწყობა როგორია? როგორია მათი სიყვარული მოყვასის მიმართ? რაც უფრო მეტად იცავენ ზოგიერთები კანონებს, მით უფრო ნაკლები სიყვარული აქვთ, მით უფრო ნაკლებად სცემენ პატივს მათ, ვინც არ იცავს იგივე კანონებს. არა, ეს არ არის სწორი გზა. ჩვენ იესოსნაირები უნდა გავხდეთ და იმ გზას მივყვეთ, რომელსაც ის გვიჩვენებს, მის სახარებას, მის მოციქულებს, მის საიდუმლოებს. ეს არის ხსნის, საუკუნო სიცოცხლის, გზა. გწამდეს ღმერთი, მაგრამ, გთხოვ, იესო ქრისტე და მისი მოძღვრებაც იწამე!

ერთ-ერთ იგავში იესო ხორბალში გარეულ სარეველაზე ლაპარაკობს. ამ სარეველამაც შეიძლება შეგვაწუხოს. არის რაღაცეები, რაც ეკლესიაშიც არასწორია, ამას მეც ვხედავ. ზოგი ფიქრობს, რომ, ვინც სათანადოდ არ იქცევა, ან უნდა შეიცვალოს, ან ეკლესია უნდა დატოვოს. ეკლესიამ არ უნდა შეიწყნაროს ამგვარი საქციელი. აქ კითხვა უნდა დავსვა: დარწმუნებული ხარ, რომ მისი ცოდვა უფრო მძიმეა, ვიდრე შენი? რამდენჯერ უთქვამს ღმერთს შენთვის, რომ უნდა შეიცვალო? წარმოიდგინე, ღმერთი მოდის შენთან და გეუბნება: შეიცვალე ანდა წადი! გეუბნებით, ეკლესია დაცარიელდებოდა. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მე იქ არ ვიქნებოდი.

იწამე ღმერთი, მაგრამ იესო ქრისტეც იწამე. იესო ქრისტემ გვასწავლა: უნდა დაიცვა მცნებები, მაგრამ, უპ. ყოვლისა, გიყვარდეს ღმერთი და გიყვარდეს მოყვასი. ღმერთს შენი მოყვასი მაშინაც კი უყვარს, თუ არ იცვლება იგი. ღვთიური სიყვარული უპირობოა, და მას უნდა, რომ მოყვასი მაშინაც გიყვარდეს, თუ შეცვლა არ სურს მას. დაანახე მას, დაანახე ღმერთს, დაანახე ადამიანებს, რომ შეგწევს უნარი, გიყვარდეს იესო ქრისტესავით - ის ცოდვილებიც კი, ვისაც შეცვლა არ სურს. იესომ ესეც კი თქვა: „გიყვარდეთ მტრები თქვენი.“ სწორედ ეს არის ის, რასაც იგი მისი მოწაფეებისგან მოელოდა: გიყვარდეს ყოველგვარი პირობების გარეშე. ღმერთს უყვარს ცოდვილები: ისინი მას ბოლომდე ეყვარება. მას სურს, რომ ქრისტესნაირები გავხდეთ და მასავით გვიყვარდეს. ხვდებით, რასაც ვგულისხმობ? ის აზრი, რომ ადამიანები ან უნდა შეიცვალონ, ან უნდა წავიდნენ, კატეგორიულად ეწინააღმდეგება იესო ქრისტეს სახარებას. ეს მიუღებელია. იწამეთ ღმერთი და იწამეთ იესო ქრისტე.

შეიძლება იმედი გაგვიცრუვდეს, როცა ვხედავთ, რომ ახალსამოციქულო ეკლესია, რომელსაც მოციქულები ხელმძღვანელობენ, წარმატებულის გარდა ყველაფერია. იმდენი სხვა ეკლესია და კონფესიაა, რომლებიც ბევრად უფრო წარმატებულნი არიან, რომლებსაც ბევრად უფრო მეტი წევრები ჰყავთ. და საერთოდ, სწორია კი ჩვენი მოძღვრება? შეესატყვისება იგი ღვთის ნებას? იქნებ სხვა ეკლესია უნდა მოვძებნოთ?

იწამეთ ღმერთი და იწამეთ იესო ქრისტე! ადამიანური საზომით, სხვები ალბათ უფრო წარმატებულები არიან, ეკლესიები სავსეა. მაგრამ გაიხსენეთ იესო ქრისტე. რამდენად წარმატებული იყო იგი? ბოლოს ჯვართან მხოლოდ ორი-სამი კაცი იდგა. სხვებმა კი თქვეს, რომ ის დამარცხდა. როგორც ჩანს, ღმერთი მასთან არ იყო. იესო მარტო იყო და მოკლეს.

სამხ. მოციქული მიხაელ დეპნერი

მოციქული კარლ ორლოვსკი

სამხ. მოციქული ჯონ შნაბელი

ჩვენ ვიცით ამ ისტორიის დასასრული. იესო ქრისტემ გაიმარჯვა. კი, მათ ის მოკლეს, დიახ, ის მარტო იყო, მაგრამ მან გაიმარჯვა, და ვერავინ შეძლო მისთვის ხელის შეშლა იმაში, რომ ბოლომდე მიეყვანა თავისი საქმე და ადამიანებისთვის ხსნა მოეტანა. იწამეთ ღმერთი, იწამეთ იესო ქრისტე. მან დადო პირობა, რომ ბოლომდე მის ეკლესიასთან და მის მოციქულებთან იქნება; და, რომ საქმეს, რომელიც მან ჩვენში დაიწყო, სრულყოფს. ამის მაშინაც კი გვწამს, თუ, ადამიანური საზომით, ეკლესია დასუსტებული ჩანს. მან მოციქულები მიავლინა, რამეთუ მისი ნება იუწყონ მათ, საიდუმლოები მიანიჭონ და ქრისტეს სასძლო მოამზადონ. ამ მოძღვრების ღირებულებას წევრთა რაოდენობით ვერ შევაფასებთ. ეს უაზრობა იქნებოდა. მაშინ იესო ქრისტესაც მოუწევდა დანებება.

ის წარმატებული იყო, რადგან ენდობოდა მამას. ეკლესია სრულყოფილი იქნება, თუ იესოსა და ღმერთს მივენდობით. იესომ მიავლინა მისი მოციქულები და შეჰპირდა: „არ იდარდოთ; მე მოვამზადებ ჩემს სასძლოს და ჩემთან წავიყვან.“ მიენდეთ იესო ქრისტეს და სხვათა მოჩვენებითი წარმატების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. ეს ის არ არის, რაზეც ვლაპარაკობთ. საქმე გადარჩენას ეხება; ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

არ ვიცი, დღეს ამ ქვეყანაში მცხოვრები რამდენი ადამიანის წილხვედრია, გახდეს ქრისტეს სასძლოს ნაწილი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ იესოს უნდა, შენ იყო მისი ნაწილი. და თუ გვწამს ღმერთის და ბოლომდე ვიწამებთ იესო ქრისტეს, მაშინ ქრისტეს სასძლოს ნაწილი გავხდებით. ეს უეჭველია. ნუ ნერვიულობ. იწამე ღმერთი. იწამე იესო ქრისტე და მიენდე მას.

ბოლო პუნქტი: ხანდახან გვანერვიულებს ის ფაქტი, რომ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება გავხდეთ ისეთები, როგორიც ქრისტეს სურს რომ ვიყოთ. თუ შევხედავთ საკუთარ თავს, ჩვენს სუსტ მხარეებს, იმას, თუ რამდენად ძნელია ჩვენთვის ღვთის ნების შესრულება და ისე მოქცევა, როგორც იესოს სურს, მივუტევოთ, გვიყვარდეს, დავძლიოთ ისე, როგორც იესოს სურს, მივხვდებით, რომ ამას ვერასოდეს შევძლებთ.

იწამე ღმერთი და იწამე ქრისტე! მან მოგიწოდა, მან ამოგირჩია, და გითხრა, რომ არასოდეს მიგატოვებს. მას სურს, რომ საუკუნოდ მასთან იყო. და ვიდრე მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი, მიჰყვე მას, ის დაგეხმარება. სრულყოფილების მიღწევას საკუთარი ძალით ვერ მოვახერხებთ. მაგრამ ის სრულგვყოფს. ყველაფერი, რასაც იგი გვთხოვს, არის ის, რომ ვუერთგულოთ მას, ვიყოთ თავმდაბალნი და გვიყვარდეს. ყველაფერი გავაკთოთ იმისათვის, რომ ღმერთისა და მოყვასის მიმართ ჩვენი სიყვარული უფრო გაიზარდოს, და მის მადლსა და წყალობას მივენდოთ. იმას, რასაც ვერ გავაკეთებთ, ის გააკეთებს ჩვენთვის.

ძირითადი აზრები

ჩვენ გვწამს ღმერთის და იესოს მოძღვრების. ღმერთი მათ მიანიჭებს საუკუნო სიცოცხლეს, ვისაც სწამს ქრისტესი და მისდევს მას. ჩვენ ვენდობით ქრისტეს სიყვარულს, მის ეკლესიას და მის მოციქულებს.

დროა, ვაკეთოთ სიკეთე

მხოლოდ კარგი ამბები: ევროპაში ახალგაზრდები ხეებს რგავენ, აზიაში დამხმარეებს სათესლე მასალა შორეულ რეგიონებში მიაქვთ, აფრიკაში კი პედაგოგები კიდევ ერთხელ უსხდებიან სასკოლო მერხებს - ახალი ამბები, რომლებიც მიბაძვისკენ მოუწოდებს.

ფოტოები: NAC SEA Relief (ახლს ჰუმანიტარული ორგანიზაცია)

სათესლე მასალა შორეული სოფლებისთვის

ვერც უამინდობამ და ვერც გზების არარსებობამ ვერ შეაჩერა NAC SEA Relief-ის მუშაკები, რომ გაჭირვებულებისთვის სათესლე მასალა მიეტანათ. გერმანული ჰუმანიტარული ფონდის NAK-karitativ-ის დავალებით ფილიპინელი მუშაკები გზას დაადგნენ, რათა შორეულ რეგიონებში ფერმერებისა და მათი ოჯახებისათვის სიმინდის თესლი მიეწოდებინათ. „საარსებო პურის“ მოსაპოვებლად ბევრი გამოწვევა უნდა იქნას დაძლეული, ვიდრე ფერმერები თესვას და მკას შეუდგებიან. სებუში (ფილიპინები), როცა მოქალაქეთა კრება მიმდინარეობდა, 756 ოჯახთანაც კი მივიდნენ - ეს იყო მნიშვნელოვანი წვლილი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მოსალოდნელი შიმშილობის დასაძლევად, წერს ჰუმანიტარული ორგანიზაცია თავის ვებგვერდზე.

რწმენის 25 წლისათვის აღნიშვნა

2024 წლის 13 ოქტომბერს ბუენოს-აირესის (არგენტინა) მახლობლად მდებარე თემმა კარინ N 2 მისი დაარსებიდან 25 წლის იუბილე აღნიშნა. მთელი კვირა ემზადებოდნენ ამ დიდი დღესასწაულისათვის: ერთმორწმუნე და-ძმანი

ფოტო: INA (წყლის რესურსების ნაციონალური ინსტიტუტი) არგენტინა

თემის იუბილეს აღნიშვნა

ფოტო: ვანესა შმიდტი

ახალგაზრდები ხეებს რგავენ

ალაგებდნენ ეკლესიის შენობას და აწყობდნენ დეკორაციებს ყვავილებითა და ბუშტებით. ამ საზეიმო ღვთისმსახურებაზე მიწვეული იყო აგრეთვე მოციქული კლაუდიო გონსალესი: „ძვირფასო ძმებო და დებო, გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ყოველივე კარგს“, ასე დაიწყო მან ქადაგება. ქადაგებაში მან არა მარტო მოვლენებით დახუნძლული თემის ისტორია მიმოიხილა, არამედ მომავალზეც ისაუბრა: ხსნაზე იესო ქრისტეს მიერ. თემს არა მხოლოდ 25 წელი ჰქონდა საზეიმოდ აღსანიშნავი, არამედ ორი ახალი მღვდელმსახურის შემატებაც: მოციქულმა ორი ქალი-დიაკვანი აკურთხა ხელდასხმით თემისთვის.

გამოვიყენოთ დრო

ჩინური ანდაზა ამბობს: საუკეთესო დრო ხის დასარგავად 20 წლის წინ იყო, მეორე საუკეთესო დრო კი ახლაა. ამდენად, 2024 წლის 26 ოქტომბერს ემდენის (გერმანია) საეკლესიო მხარის ახალგაზრდები - “აღმოსავლეთ ფრიზების ახალგაზრდობიდან“ - დილით ადრე ადგნენ და რეზინის ჩექმებითა და ბარებით აღიჭურვნენ, რათა ბუნებისა და გარემოს დაცვაში საკუთარი წვლილი შეეტანათ. ახალგაზრდებმა თორმეტი შერეული ხეხილის ხე და მინდვრის ნეკერჩხალი დარგეს ბრუკმერლანდის ადგილობრივი თემის ტერიტორიაზე. ეს მათ დიდი სიხარულით გააკეთეს.

საკვირაო სკოლა მნიშვნელოვანია

Sunday School matters, ე. ი: საკვირაო სკოლა მნიშვნელოვანია, ეწერა სამკერდე ნიშნებზე, რომლებიც სომერსეტ-უესტის (სამხ. აფრიკა) რეგიონის საკვირაო სკოლის პედაგოგებმა მიიღეს. სამხ. წინამძღვარმა ევგენი ფელკერსმა სამოციქულო მხარის საკვირაო სკოლის კორდინატორ შანინ ბაჩესთან ერთად და ერთმორწმუნე და ამანდა შარნეკთან ერთად 2024 წლის 9 ნოემბერს უხელმძღვანელა სემინარს თემაზე წინამძღოლობა და წინამძღოლობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. მოცემული მხარის საკვირაო სკოლის მასწავლებელებმა უკეთესად გააცნობიერეს თავიანთი როლი და ისწავლეს, თუ როგორ წარუძღვნენ მათზე მინდობილ პირებს. პრეზენტაციების შემდეგ დღის მთავარი თემა იყო საკვირაო სკოლის მასწავლებელთა აღიარება გასულ წელს მათ მიერ გაწეული შრომისა და თავდადებისთვის. სამკერდე ნიშნების გარდა პედაგოგებს სერტიფიკატებიც გადაეცათ. შემდეგ საერთო სადილი გაიმართა.

მადლობა პედაგოგებისათვის

ფოტო: სამხრეთ აფრიკის ახსე

იესო მებაჟე ზაქეს სტუმრობს

ლუკ. 19, 1-10-ის მიხედვით

იესო იერიხონში მიდიოდა. იქ ერთი მდიდარი კაცი ცხოვრობდა. მას ზაქე ერქვა და იყო მებაჟე.

როცა იესო მოწაფეებთან ერთად ქუჩებში გამოჩნდა, ბევრი ქალი, კაცი და ბავშვი ფეხზე იდგა. ყველას იესოს ნახვა უნდოდა.
ზაქესაც უნდოდა მისი დანახვა, მაგრამ ბრბოში ვერაფერს ხედავდა, რადგან ტანით პატარა იყო. ის ლეღვის ხისკენ გაიქცა და აცოცდა მასზე.
როცა იესო ხესთან მივიდა, მაღლა აიხედა და უთხრა მას: „ზაქე, ჩამოდი სწრაფად, დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე.“
ზაქეს გაუხარდა, რომ იესოს სწორედ მასთან სტუმრობა სურდა, სხვები კი აბუზღუნდნენ და ამბობდნენ: „იესო ასეთ ცოდვილთან მიდის სტუმრად!“
ზაქემ მოინანია, რომ მან, როგორც მებაჟემ, ხალხს ბევრი ფული გამოართვა.
და უთხრა იესოს: „ჩემი ქონების ნახევარს ღარიბებს მივცემ და, თუ ვინმესთვის რამე გამომიძალავს, ოთხმაგად მივცემ.“

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 02. 2025 წ.; ილუსტრაციები: მიხეილა ფირცხალავა

სტუმრად ლეონარდთან კინსეილში (ირლანდია)

„Hello, my name is Leonard“ („გამარჯობათ, ჩემი სახელია ლეონარდი“). როცა ირლანდიაში ჩამოვედი, სწორედ ამდენი ინგლისური ვიცოდი. ვარ ცხრა წლის და ნახევარი წელია ჩემს 13 წლის და კიმთან და მშობლებთან ერთად კინსეილში ვცხოვრობ, ირლანდიის სამხრეთ სანაპიროზე.

აქ ჩემს უფროს დასთან ერთად მხედავთ სასწავლო წლის პირველ დღეს. ჩვენ სასკოლო ფორმა გვაცვია, რომელიც სავალდებულოა ყველა მოსწავლისათვის. ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო ის, რომ მთელ სკოლაში ერთადერთი გერმანულენოვანი კლასის დამრიგებელი შემხვდა. მამაჩემი ფიქრობს, რომ ასეთი არაჩვეულებრივი რამე მხოლოდ ღმერთს შეუძლია მოაწყოს.

გატაცებული ვარ ხელგარჯილობით. აქ ხედავთ, თუ როგორ ვახდენ ბინის იზოლირებას. მიყვარს კლდეზე ცოცვა და ცურვა, ვთამაშობ ფეხბურთს და დავდივარ ველოსიპედით. თუმცა ველოსიპედით სიარული აქ საკმაოდ სახიფათოა, ვინაიდან მანქანები ველოსიპედისტებს ადგილს არ უტოვებენ ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში, რომლის ორივე მხარესაც ქვის კედლებია აღმართული.

გვენატრება ჩვენი შვეიცარიელი მეგობრები. თუმცა ხალხი აქ კარგია და უკვე რამოდენიმე ბავშვი გავიცანით. ჩემზე პატარებთან უკეთესად ვთამაშობ. ჩემს ტოლებთან საერთოს გამონახვა მიჭირს. მე დაუნის სინდრომი მაქვს; რაც იმას ნიშნავს, რომ კარგად ვერ ვლაპარაკობ და სხვა ბავშვებს ეს მალე სწყინდებათ.

ყოველ საღამოს სანაპიროზე მივდივართ. ბევრი ირლანდიელი მთელი წლის განმავლობაში შედის წყალში, მაშინაც კი, როცა ზამთარში ტემპერატურა 10 გრადუსზე დაბლა ეცემა. მათი აზრით, ამასთან შეჩვევა შესაძლებელია. ძალიან მომწონს, როცა სერფინგის დაფით ტალღებს სანაპიროსკენ გამოვყავარ.

ბევრ ირლანდიელს ჰყავს ძაღლი, რომლებთანაც სანაპიროზე თამაში შემიძლია. წყალში ბევრი სელაპებია.

კორკის ჩვენს პატარა თემში ღვთისმსახურება ყოველ მეორე კვირადღეს ტარდება. სხვა კვირადღეებში ღვთისმსახურებას სახლში კომპიუტერის მეშვეობით ვუყურებთ, რაც არ მომწონს. მენატრება ჩემი საკვირაო სკოლა ჩემს მშობლიურ თემში რიენში, რომელიც ბაზელის მახლობლად მდებარეობს.

დედაჩემი რომ არ იყოს წინააღმდეგი, მე და მამაჩემი ყოველ დღე შევჭამდით მაკარონს სოუსით. თუმცა ადგილობრივ საჭმელსაც ვსინჯავთ ხორცით და კარტოფილით ან კომბოსტოთი. მრავალფეროვნების გამო! ზოგჯერ არც ისე ცუდია.

თებერვალში ისევ ჩემს ძველ კლასში ვბრუნდები და ნამდვილად ცოტა უფრო მეტი ინგლისური მეცოდინება, ვიდრე პირველ დღეს აქ, ირლანდიაში.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 02. 2025 წ.; ფოტოები: პირადი, robertsre/Richard/susanne2688/ by-studio/Cristi/stock.adobe

ფოტო: Malchev - stock.adobe

ზუსტად გადმოვცეთ ღვთის ნება

ღვთის სიტყვის უწყება - ღვთისმსახურების ყურადღების ცენტრში სწორედ ეს არის. მაშინაც კი, თუ ქადაგება თავისუფალი ფორმით წარმოითქმება, არ შეიძლება, რომ ის თვითნებური იყოს. ამ მოძღვრებით წერილში პირველმოციქული განმარტავს, თუ რას უნდა ეყრდნობოდეს სიტყვის სწორი უწყება.

კატეხიზმო სიტყვის სწორ უწყებას მოციქულობის დამახასიათებელ თვისებად წარმოადგენს (კატ. 6. 4. 2. 3). უფალმა მიავლინა მოციქულები და დაავალა, რომ ესწავლებინათ. მათ სულიწმიდის ძალით უნდა იუწყონ სახარება იესო ქრისტეს შობის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის, სიკვდილის, აღდგომის, ზეცად ამაღლებისა და მეორედ მოსვლის შესახებ.

როცა მოციქული სასულიერო პირს ხელდასხმით აკურთხებს, სულიწმიდის ძალით იგი მას სიტყვის სწორი უწყების უფლებამოსილებასაც ანიჭებს. ამიერიდან ხელდასხმულ სასულიერო პირს ღვთისმსახურებაზე სახარების ქადაგება და ოჯახში სასულიერო ვიზიტებისას ღვთის სიტყვის გადაცემა შეუძლია.

ბიბლიასთან შესაბამისობა

სიტყვის სწორად უწყება მაშინ ხდება, როცა ის ბიბლიას შეესაბამება, განსაკუთრებით იესო ქრისტეს სიტყვებს, როგორც ისინი ახალ აღთქმაშია გადმოცემული.

წმიდა წერილთან შესაბამისობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მისი აზრი სიტყვა-სიტყვით მკაცრად დავიცვათ. აქ უფრო სახარების გზავნილის ერთგულებაზეა ლაპარაკი. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ბიბლიურ ტექსტებს სულიწმიდის შუქზე განვმარტავთ.

გვწამს, რომ ღმერთია წმიდა წერილის შემქმნელი. ავტორებს ის სულიწმიდა-ღმერთმა შთააგონა. ის სხვადასხვა წიგნები, რომლებისგანაც ბიბლია შედგება, მათი ავტორებისა და ეპოქების მიხედვით არის ჩამოყალიბებული. ამ ტექსტებში ჩანს:

- შესაბამისი ეპოქის „მეცნიერული“ ცოდნა - ძველი აღთქმის პერიოდში უნივერსუმის ცენტრად დედამიწა ითვლებოდა, რომლის გარშემოც მოძრაობდნენ მზე და მთვარე. მაგ., სახარებები ეპილეფსიას წარმოადგენს როგორც ბოროტი სულის გამოვლინებას;
- მოცემული ეპოქის სოციალური სტრუქტურა და ადათ-წესები - მაგ, პავლესთვის პრობლემას არ წარმოადგენს მონობა; კაცები მოკლე თმას ატარებდნენ, ქალები კი - გრძელს;
- მათი ავტორის პიროვნება და ზრახვები - მათეს იუდეველები იმაში უნდოდა დაერწმუნებინა, რომ ძველი აღთქმა იესოში აღსრულდა. მარკოზი წარმართებს უბრალო ენით მიმართავს იმ დროს, როდესაც ლუკა ლიტერატურული ენით მიმართავს განათლებულ, კულტურულ ადამიანებს და თან ქალებისა და ღარიბების მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

ბიბლიის გზავნილის გასაგებად ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი. თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ამ პრინციპს და მარტო ბიბლიური ტექსტის პირდაპირი მნიშვნელობით შემოვიფარგლებით, ამან ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციები შეიძლება გამოიწვიოს. XVII საუკუნეში ეკლესიამ გალილეო გალილეი იმის სწავლებისთვის დასაჯა, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს. რომისთვის იმ ბიბლიური ტექსტების (ფსალმ. 92, 1; 103, 5; იესო 10, 12. 13) დაცვა სავალდებულო იყო, რომლის მიხედვითაც მზე ტრიალებდა დედამიწის გარშემო!

მხოლოდ სულიწმიდას, რომელმაც წმიდა წერილის ინსპირაცია მოახდინა, შეუძლია გაგვიხსნას გონება მათ გასაგებად. ღმერთმა სულიწმიდა ადამიანებისთვის მისი ნების გამოსაცხადებლად მოავლინა, ასევე იმისთვის, რომ ხსნასთან მისასვლელი ჰქონოდათ მათ. ამბობენ, რომ გალილეი თავს იცავდა, განმარტავდა რა, რომ სულიწმიდის



ფოტო: სერგი ბაგლოფსკი - stock.adobe

ფოტო: Bro Vector- stock.adobe

მოციქულებს ღვთის საქმესა და ხსნის გეგმასთან დაკავშირებული შეხედულებების ახლებურად გაგების საშულებას აძლევს, რომლებზედაც, მართალია, წმიდა წერილშია მინიშნებული, მაგრამ ბოლომდე არ არის გახსნილი. როგორც ამის მნიშვნელოვანი მაგალითი უნდა დავასახელოთ განსვენებულთათვის ხსნის გადაცემის შესახებ მოძღვრება. პირველმოციქულის მოვალეობაში შედის - მისი სასულიერო მოძღვრებითი უფლებამოსილების საფუძველზე -, იუწყოს მსგავსი სულიწმიდისეული გამოცხადებები და ახალსამოციქულო ეკლესიისათავის სავალდებულოდ გამოაცხადოს (კატ. 1. 3).

ახალსამოციქულო მოძღვრება ეყრდნობა ბიბლიურ გამონათქვამებს, რომლებიც, საჭიროებისამებრ, გაღრმავებულია სულიწმიდისეული ცოდნით და, რომლებსაც პირველმოციქული სავალდებულოდ აცხადებს. მათ ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო შეიცავს და კომენტირებულია ეკლესიის ოფიციალურ

მოვლენა იმიტომ კი არ მოხდა, რომ მზისა და მთვარის მოძრაობა ესწავლებინა მას, არამედ იმისთვის, რომ იესოს მოწაფეებად გავეხადეთ. თუ ბიბლიას სულიწმიდის შუქზე წავიკითხავთ, ის ხსნის გზას გვიჩვენებს. მის ამოცანას არ წარმოადგენს არც მეცნიერების ჩანაცვლება და არც საზოგადოებისთვის სამართლებრივი თუ სოციალური მოდელების მიცემა.

იესომ ემაუსელ მოწაფეებს აუხსნა, რომ ძველი აღთქმა განმარტებულ უნდა იქნას მისგან გამომდინარე (ლუკ. 24, 27. 44. 45). ძველი აღთქმა ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, თუ ის ისე შეესატყვისება სახარებას, როგორც იგი ახალ აღთქმაშია გადმოცემული.

გვწამს, რომ მოციქულებმა, როგორც „ღვთის საიდუმლოთა მნეებმა“ (1. კორ. 4, 1), იესო ქრისტესგან წმიდა წერილის განმარტების უფლებამოსილება მიიღეს. სულიწმიდის წარმართვით, ისინი ბიბლიიდან იმას გვასწავლიან, რაც ჩვენი ხსნისთვის არის მთავარი.

მოძღვრებასთან შესაბამისობა

„დღეს მოღვაწე იესოს მოციქულთა ქადაგება ეფუძნება წმიდა წერილის მოწმობებს; სწავლების თავიანთ მისიაში მათ სულიწმიდა ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, სულიწმიდა


ფოტო: Stockgiu- stock.adobe

განცხადებებში. ახალსამოციქულო ეკლესიის სასულიერო პირთა ქადაგება მაშინ არის სწორი და სამოციქულო, როცა ის ამ მოძღვრებას შეესაბამება.

შთაგონება სულიწმიდის მიერ

სულიწმიდა იესო ქრისტეს სიტყვას გვიცხადებს, რომელიც საუკუნოა (მარკ. 13, 31). სახარების სწორი ქადაგება მარტო ხსნას კი არ ეხება, არამედ ის გადასცემს კიდეც მას. რამდენადაც სახარების სწორად ქადაგება მოციქულებისა და მათ მიერ ხელდასხმული სასულიერო პირების მიერ ხორციელდება, ღმერთი ადასტურებს მათ სიტყვებს.

მაშასადამე, ყველა სასულიერო პირისთვის, რომლებიც სიტყვის სწორად უწყებისკენ არიან მოწოდებულნი, მთავარი განწმედაა, რამეთუ სულიწმიდის გზავნილის გაგება და მისი სათანადოდ გადაცემა შეძლონ. თუმცა კარგად უნდა გვესმოდეს, რომ მიუხედავად განწმედის მცდელობისა, ყოველთვის არასრულყოფილნი დავრჩებით. მართალია, ჩვენი ქადაგება სულიწმიდის მიერ არის შთაგონებული, მაგრამ ის ისეთი სრულყოფილი ვერ იქნება, რომ ზუსტად და თან მხოლოდ და მხოლოდ ღვთის ნებას გამოხატავდეს. ჩვენი ქადაგება ყოველთვის ჩვენს პიროვნებას და ჩვენს ცხოვრებას ასახავს: მას ჩვენ ვაყალიბებთ ისევე, როგორც ბიბლიური ტექსტებია მათი ავტორების მიერ ჩამოყალიბებული.

განმარტების მიზნით ორ მაგალითს დავასახელებ:

პირველი პავლე მოციქულს ეხება, რომელიც კორინთელ მარტოხელებსა და ქვრივებს ურჩევს, რომ არ დაქორწინდნენ (1. კორ. 7, 8). ის თავად უცოლო იყო და თვლიდა, რომ ასე უკეთესად მოემზდებოდა უფლის მეორედ მოსვლისთვის (1. კორ. 7, 32. 33). ის თვლის, რომ კარგია, როცა მამაკაცს სექსუალური ურთიერთობები არა აქვს (1. კორ. 7, 29). თუმცა ის ცხადად ამბობს, რომ ამასთან დაკავშირებით მას არ მიუღია „უფლის ბრძანება“ (1. კორ. 7, 25), მაგრამ თავისი აზრის გასამყარებლად სულიწმიდას მიმართავს (1. კორ. 7, 40). ისტორიას ეს არ დაუდასტურებია:

- მის რჩევას რომ მიჰყოლოდნენ ქრისტიანები, შთამომავლობა აღარ იქნებოდა; ეკლესია ვერ გადარჩებოდა.
- აზრადაც არ მოგვივა, რომ ეჭვვეშ დავაყენოთ იმ დაქორწინებული კაცებისა და ქალების გულმოდგინება, რომლებიც უფალს ეკლესიაში ემსახურებიან.

მეორე მაგალითი პირველმოციქულ ბიშოფს უკავშირდება. მას მტკიცედ სჯეროდა უფლის მალე მეორედ მოსვლისა და დარწმუნებული იყო, რომ იესო მისი სიცოცხლის პერიოდში დაბრუნდებოდა. რამდენადაც საპატიო არ უნდა ყოფილიყო მისი ეს აზრი, დღეს ვიცით, რომ ამ პირადი დარწმუნების მოძღვრების რანგში აყვანა არ შეიძლებოდა.

ამ ორივე შემთხვევაში გზავნილი, რომელიც სულიწმიდისგან მოდიოდა, იდენტური იყო: უფალი მალე მოვა, იყავით მზად! ეს გზავნილი ყოველთვის ძალაშია! მაგრამ ქადაგების ის ნაწილი, რომელიც პირად აზრებს ასახავდა, არ გამართლდა.

დასკვნა:

ორდინაციით სასულიერო პირს სახარების სწორად უწყების უფლებამოსილება ენიჭება. სიტყვის სწორი უწყება იმით ხასიათდება, რომ ქადაგება სახარებასა და ახალსამოციქულო მოძღვრებას შეესატყვისება. ახალსამოციქულო მოძღვრება მოციქულთა მიერ წმიდა წერილის სულიწმიდის ძალით განმარტების შედეგია. პირველმოციქულის მიერ განსაზღვრული და საბოლოოდ დადგენილი მოძღვრება ეკლესიის საჯარო განცხადებებში ნათლად არის გამოხატული, განსაკუთრებით კატეხიზმოში.

ღვთის გზავნილის შესაცნობად და მისი გაუყალბებლად გადმოცემის მიზნით სასულიერო პირები უნდა განიწმიდონ. თემი კი იმისთვის უნდა განიწმიდოს, რომ მიიღოს სულიწმიდის გზავნილი და გაძლიერდეს.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

პროგრამა

06.04.2025წ.	ბრიუსელი (ბელგია)
18.04.2025წ.	მელბურნი (ავსტრალია)
20.04.2025წ.	ბრიზბენი (ავსტრალია)
02.05.2025წ.	ლუანდა (ანგოლა)
04.05.2025წ.	საურიმო (ანგოლა)
11.05.2025წ.	სიგიშოარა (რუმინეთი)
23.05.2025წ.	შეშეკე (ზამბია)
24.05.2025წ.	სერენჯე (ზამბია)
25.05.2025წ.	ლუანშია (ზამბია)
01.06.2025წ.	მოსკოვი (რუსეთი)
08.06.2025წ.	ვისბადენი (გერმანია)
20.06.2025წ.	პურვოკერტო (ინდონეზია)
22.06.2025წ.	ჯაკარტა (ინდონეზია)
29.06.2025წ.	ინგოლშტადტი (გერმანია)

New Apostolic Church
International